საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 819-03
25/04/2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (ÖSD) საფასურის უკან დაბრუნების წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლიცენზიის გამცემ ÖSD-(გერმანული ენის ავსტრიული დიპლომი) - გაერთიანებას შორის 2020 წლის 23 ნოემბერს გაფორმებული ჩარჩოხელშეკრულების, ÖSD-ცენტრალური ოფისის მიერ დადგენილ საგამოცდო განაწესის მე-5 პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორის, მზია გალდავაძის 2023 წლის 24 მარტის N5070-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (ÖSD) საფასურის დაბრუნების საფუძვლია:
ა) გამოცდის ჩატარებამდე მონაწილე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ისე, რომ შეუძლებელია მისი გამოცდაში მონაწილეობა;
ბ) მონაწილე პირის ოჯახის წევრის გარდაცვალება;
გ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრის ბრალეულობით გამოწვეული გამოცდის გაუქმება.
2. პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში თანხის დაბრუნების შესახებ განაცხადი უნდა გაკეთდეს შესაბამისი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა და თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა/დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება პირის მიერ გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო საფუძველი;
3. პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნისთვის ოჯახის წევრად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში მონაწილე პირს ავსტრიული ცენტრის მიერ შეეთავაზება გამოცდის უახლოესი საგამოცდო პერიოდისთვის გადავადება. აღნიშნულზე თანხმობის გაცხადების შემთხვევაში არ მოხდება მისთვის თანხის დაბრუნება.
5. გამოცდის მსვლელობისას მონაწილის ჯანმრთელობის გაუარესების დროს, ცენტრი ვალდებულია გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დასკვნით დადასტურდება მისი დროებითი უუნარობა და გამოირიცხება გამოცდაში მონაწილეობის გაგრძელების შესაძლებლობა, შესთავაზოს

მას მხოლოდ გადავადება უახლოესი საგამოცდო პერიოდისთვის. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში პირს გამოცდის საფასური უკან არ დაუბრუნდება;

6. დაგვიანების ან სხვა მიზეზით (მაგ.: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონა) გამოცდაზე არდაშვების ან საგამოცდო წესების დარღვევის (მაგ.: გადაწერის მცდელობა და სხვ.) გამო გამოცდიდან მოხსნის ან გამოცდის დაწყების შემდეგ /მსვლელობისას პირის მიერ მონაწილეობაზე უარის განცხადების შემთხვევაში, მას არ დაუბრუნდება გადახდილი თანხა და არ შეეთავაზება საგამოცდო თარიღის გადავადება;

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს წესი ატვირთოს პროგრამა კოდექსში და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა განათვასოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ავსტრიული კულტურის ცენტრს, იურიდიულ სამსახურს, ადამიანურ რესურსების მართვის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი